

ადგილობრივი თემის განვითარების მოდელი სოფლის ბიბლიოთეკარის
გაძლიერების გზით

რუსუდან ასათიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

რუსუდან ასათიანი

29.06.2018

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში აღწერილია სოფლის განვითარების თანამედროვე მოდელები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ქართული სოფლისა და მისი მოსახლეობის გაძლიერება. სოფლის განვითარების და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების ერთ-ერთ საშუალებად გვევლინება თემის მობილიზატორის არსებობა სოფლად, რომელსაც შეუძლია ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა, პრიორიტეტული პრობლემების გამოკვეთა და ამ პრობლემების მოსაგვარებელი გზების მოძიება. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მუშაობა საკმაოდ მაღალ დონეზეა განვითარებული საქართველოში, სოციალური მუშაკებისა და თემის მობილიზატორების რაოდენობა არ არის საკმარისი, იმისთვის რომ მოემსახუროს ყველა სოფელს ინდივიდუალურად, არადა აღნიშნული სერვისი ყველაზე მეტად სოფლებშია საჭირო.

კვლევაში გამოყენებულია საკითხთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ ნაშრომში გამოქვეყნებული კვლევა არის უნიკალური და მსგავსი მოდელი სხვა ქვეყნებში არ გამოყენებულა, ხოლო თემის საკვლევად გამოყენებული იქნა თანამონაწილეობითი კვლევის მეთოდი. ნაშრომში შემოთავაზებულია პროგრამის „ბიბლიოთეკარი, როგორც თემის მობილიზატორი და თემის გამაძლიერებელი“ განხორციელება.

კვლევიდან გამომდინარე იკვეთება, რომ სასურველია სოფლად შეირჩეს ისეთი ინსტიტუცია, რომელიც სანდო რგოლს წარმოადგენს მოსახლეობისათვის და კავშირი აქვს ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სხვადასხვა ორგანიზაციებთან. ასეთი ტიპის ინსტიტუცია სოფლად არის ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკარი, რომელსაც თავისი უნარჩვევებიდან გამომდინარე თავისუფლად შეუძლია შეითავსოს თემის მობილიზატორის როლიც, ვინაიდან წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილმა კვლევამ აჩვენა, რომ ბიბლიოთეკარები გაუცნობიერებლად და სრულიად უანგაროდ ეწეოდნენ თემის მობილიზაციას, თუმცა ამას თავის ძირითად სამუშაოდ არ თვლიდნენ. ასეთი ტიპის ბიბლიოთეკარს თავისუფლად შეიძლება ეწეოდოს „ბიბლიოთეკარი, როგორც თემის მობილიზატორი და თემის გამაძლიერებელი“.

წინამდებარე ნაშრომში შემოთავაზებული მეთოდების, პრინციპებისა და პროგრამის დანერგვა გააუმჯობესებს ქართული სოფლის მოწყობას, ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

საკვანძო სიტყვები: სოფლის განვითარების მოდელები; თემის მობილიზაცია; ბიბლიოთეკარი როგორც თემის მობილიზატორი; სოციალური მუშაობა

Abstract

The study is dedicated to the contemporary models of development of communities, which can improve social welfare in the Georgian villages. One of the means of improving wellbeing of village population in Georgia, could be a creation of the position of a “librarian - community mobilizer”. This person could investigate real needs of the population, prioritize existing problems and facilitate the process of solving these issues. Despite the fact, that social programs are considerably well promoted and spread in Georgia, lack of social workers and community mobilizers hinders delivery of the services to a bigger number of individual settlements. This dissertation is envisioned to offer the ways to tackle this problem. It is based on a participatory research method. It also uses international experience in this field but represents the unique and original study. The work proposes creation, promotion and execution of the “Librarian, as a community mobilizer and community assistant” program.

Conducted research shows, that it is desirable to establish certain institution at the villages, which would enjoy trust of local population and at the same time would have good working relations, communications with the municipal governing structures and other governmental or non-governmental organizations. The function of such institution could be taken by the local Library and its personnel, some of which could also work as the community mobilizers. Interestingly, the study unveils that many librarians, often anyway play this role of a community mobilizer even without any exiting program or benefits for themselves. Though, they did not consider these activities as their primary job. Librarians with such skills can be easily transformed into designated and recognized community mobilizer.

Realizations of the methods, principles, approaches and projects proposed in this study will significantly enhance social environment of Georgian villages and facilitate improvement of the local population’s welfare.

Keywords: Village development models; Community mobilization; Social work; Librarian as a community assistant; Librarian as a community mobilizer